ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 36
(11 595)

14 – 16 მაისი, 2002 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:


- გარდაიცვალა ვალერი ლობანოვსკი
- მოვიგონოთ 1956 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა
- ქუთაისმა ჟაბუკ მუშკეტერებს სანაქებოდ მასპინძლა
- „ავსტრიის გრან-პრიზზე" ფორმულა-1-ის მრბოლები დღეგრძელებთან ერთად გამოსახლდნენ
- დღეს, მონაკოში, მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენს დაასახელებენ...
- თსუ – ჩემპიონია!




რა არის სენსაცია? ალბათ ისიც, რაც ამ ბიჭებმა მოახდინეს რუსეთის წყალბურთელთა პირველობაზე

2

„თავმჯდომარის სავარძელი"

## მე რომ ხელმძღვანელი ვიყო,



## მეტ ყურადღებას მივაქცევდი გამაჯანსაღებელ სპორტს

მე რომ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ვიყო, ყველაფერს ვიღონებდი საქართველოში სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინებისა და ერის ფიზიკური გაჯანსაღებისათვის.

სპორტის ეროვნული სახეობები, კერძოდ: ქართული ჭიდაობა, ლელობურთი, მარულა, ცხენბურთი, ისინდი, სიმძიმეების აწევა, ლახტი, სიგრძეზე ჯოკით ხტომა და სხვა, რომლებმაც თავის დროზე საფუძველი დაუდო თანამედროვე ჭიდაობას, მძლეოსნობას, რაგბის, ცხენოსნობას და ძალოსნობის განვითარებას, დღეს მივიწყებულია და ამ კუთხით არ ჩანს დეპარტამენტის, სპორტული საზოგადოებების მცდელობა მის ასაღორძინებლად. საქართველოს „კანონში სპორტის შესახებ" (მუხლი 3) ჩაწერილია, რომ „სახელმწიფო უზრუნველყოფს სპორტის, ძირითადად ეროვნული სახეობების განვითარებას სოფლად", რაც განუხორციელებელი რჩება, უფრო მეტიც, სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებაში მონაწილეობის უფლება. ეფექტურ ნაბიჯებს დღემდე ვერ დგამს საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღების მიზნობრივ პროგრამაში ამის ასახვა და პრაქტიკულად განხორციელება.

აუცილებლად აღვადგენდი საბჭოთა სპარტაკიადებს, შემოვიღებდი სპორტულ თამაშებს. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა დაეკისროს საქართველოს პროფესიულ კავშირს.

**იროდი ბეჟაშვილი,**
საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი.

## 6 მედალი და კიდევ გუნდური პირველობა

ბაქოში თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა თუ არა, სარბიელი დაეთმო ახალგაზრდებს შორის საერთაშორისო ტურნირს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში ჩაებნენ რუსეთის, საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის და უზბეკეთის ნაკრები გუნდები. ღიდებისგან განსხვავებით ახალგაზრდებში ორით მეტ, ანუ 9 წონით კატეგორიაში თამაშდება მედლები. საქართველოს 10 მოჭიდავე გამოიყვანა. მოპოვებულია ოთხი პირველი და ორი მეორე ადგილი. გუნდურ პირველობაში კი უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს. გამარჯვებულები არიან: გორელი ამირან ელბაქიძე (50 კგ), ყვარლელი დავით ახალმოსულიშვილი (76), თბილისელები ზვიად ხისაური (97) და ნუკრი სიხარულიძე (120). მეორე პრიზიორები გახდნენ თბილისელი დავით ხისაური (97) და ყვარლელი აკაკი საბაშვილი (120). როგორც ხედავთ, ამ ორ წონით კატეგორიაში ფინალში ქართველები შეხვდნენ ერთმანეთს, თანაც 97 წონით კატეგორიაში – ბიძაშვილები ზვიად და დავით ხისაურები. ჩვენი ნაკრების უფროსი მწვრთნელია ნუგზარ სხირელი, მწვრთნელი – ჯონი ლორია. ტურნირზე მსაჯად მიწვეული იყო ჯუმბერ დავლიანიძე. აღსანიშნავია, რომ ჩვენს გუნდთან ერთად ბაქოში ევროპის ჩემპიონატზე სტუმრების შემდეგ დარჩნენ ვეტერანები ლევან თედიაშვილი და გივი ყვარელაშვილი, რომლებმაც დიდი სტიმული მისცეს ჩვენს ბიჭებს.

## ფიფას გენსეკი სკანდალს შეეწირა

ფიფას გენერალური მდივანი ზენ-რუფინენი (შვეიცარია) გადაყენებულია თანამდებობიდან. მასვე ჩამოერთვა ფინანსური საკითხების კურატორობა და, საერთოდ, ჩამოერთვა ყველანაირი უფლებები ფიფაში. გადაწყვეტილება ამის თაობაზე მიიღო ფიფას სპეციალურმა კომიტეტმა. ეს იყო გასულ პარასკევს წამოწყებული სკანდალის ლოგიკური შედეგი, როცა ზენ-რუფინენმა ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი სერიოზულ ფინანსურ დარღვევებში დაადანაშაულა. ამასთან, სახელდებოდა გავლენიანი საფეხბურთო ჩინოსნების მოსყიდვა და ა.შ.



რუფინენი

ზემოხსენებულ სხდომაზე ბლატერმა უარყო ეს ბრალდებები, ზენ-რუფინენი კი გაბრიყვებული აღმოჩნდა, ბოლო მომენტში წამქეზებლებმა ისევ და ისევ ფიფას შტაბიდან, მხარი კვლავ ბლატერს დაუჭირეს, გენსეკი კი ფიფადან გააძევეს.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ფიფას კონგრესზე, რომელიც სულ მალე, მსოფლიო ჩემპიონატის წინ გაიმართება და 4 წლის ვადით ფიფას ახალ პრეზიდენტს აირჩევს. კანდიდატი კი ორია, ბლატერი და აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციის პრეზიდენტი, 55 წლის ისა აიატუ (კამერუნი).

## უმაღლესი ლიგა, VIII ტური



4

## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## ჩემპიონთა ლიგა

15 მაისი. გლაზგო.
ფინალური მატჩი
„რეალი" – „ბაიერი"

## ცხენოსნების ასპარეზობა რუსეთის პრეზიდენტის პრიზზე

ეს პირველი შემთხვევაა, როცა მხედართა ასპარეზობას ასეთი პატივ ხვდა წილად. 4-6 ივლისს მოსკოვში, ცენტრალურ იპოდრომზე, ჩატარდება ცხენოსანთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. უკვე შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგება ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრი ალექსეი გორდეევი. მისი თქმით, ამ ასპარეზობამ სათავე უნდა დაუდოს რუსეთში საცხენოსნო სპორტის აღორძინებას.



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

## დინამო – სტუ 82:97

სპორტის სასახლეში გამართულ ნახევარფინალისტთა შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისის დინამო და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თავდაპირველად დაწინაურდნენ დინამოელები სომეხი ლეგიონერის, არმენ პოგანოსიანის 3 ქულიანით. საწყის მეოთხედში სტუდენტებმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს და 9 ქულით ჩამორჩნენ მეტოქეს (27:18). მეორე მეოთხედი კი თანაბარ პაექრობაში დაიწყო და სტუ-ს კალათბურთელებმა შეძლეს ჯერ 9 ქულიანი დეფიციტის შევსება, მეოთხედის ბოლოს კი 3 ქულით გაიჭრნენ წინ – 49:52. მესამე მეოთხედიც თანაბარ ჭიდილში მიმდინარეობდა, თუმცა ამჯერად სტუდენტებმა დათმეს ლიდერობა 1 ქულით – (70:69). გადამწყვეტი 10 წუთი ჯერ კიდევ წინ იყო. დინამოს აშკარად დაეტყო ირაკლი ჯაფარიძის არყოფნა და მეოთხე მეოთხედში დიდი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია მეტოქეს. საბოლოოდ, მატჩი დამთავრდა სტუდენტების სასარგებლოდ – 82:97. ამ დღეს თავი განსაკუთრებით გამოიჩინა სტუ-ს რიგებში მოასპარეზე მინაშვილმა, რომელმაც 28 ქულა შესძინა გუნდს, ხოლო მისი თანაგუნდელები ბაბიაშვილი და ხოშტარია 20-20 ქულას დასჯერდნენ. დინამოს კალათბურთელებიდან კი შესანიშნავად ითამაშა არჩილ ქლენტმა, რომელმაც 23 ქულა მოაგროვა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა არმენ პოგანოსიანმა – 15. ამრიგად, სერიის ანგარიშია 1-1 და ორივე გუნდს თანაბარი შესაძლებლობა აქვს მოხვდეს ფინალში.

## აზოტი – ბასკო 73:95

**გუშინ,** სპორტის სასახლეში გამოვლინდა პირველი ფინალისტი. ბათუმის ბასკომ მოუგო რუსთავის აზოტს: თავდაპირველად დაწინაურდნენ რუსთაველები – ორქულიანით თავი გამოიჩინა ანატოლი ბოისამ, მაგრამ ბათუმელებმა მალე აღადგინეს წონასწორობა, შემდეგ კი წინაც გავიდნენ, თუმცა მეოთხედი რუსთაველთა სასარგებლოდ (21:16) დასრულდა. მეორე მეოთხედი თანაბარი ორთაბრძოლით დაიწყო, დასასრულისათვის კვლავ აზოტელები ლიდერობდნენ (41:39). მხოლოდ მესამე მეოთხედში შეძლეს ზღვისპირელებმა უპირატესობის მოპოვება – 59:62 და მაინც შეხვედრა თანაბარ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ რუსთაველებს მხოლოდ მოგება სჭირდებოდათ, რადგან ბათუმელები სასურველი შედეგის მიღწევის შემთხვევაში, ფინალში სარეზერვო ქულებს ინაღდებდნენ. როგორც წინა ორ შეხვედრაში, აზოტელები ამჯერადაც დამარცხდნენ, თუმცა ძალას არ ზოგავდნენ წარმატების მოსაპოვებლად. ბოლო მეოთხედი მეტად დრამატული და დაძაბული გამოდგა. 3 წუთში ბასკომ 6 ქულიან უპირატესობას მიაღწია. აზოტელებმა მალე აღადგინეს წონასწორობა, მაგრამ საბოლოოდ ბასკოს შეჩერება ვეღარ შეძლეს და დამარცხდნენ – 73:95. ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ: ბასკოდან: ბეჟანიშვილი და დილონი – 20-20 ქულა. ორმოცაძე – 15. აზოტი: გოგობერიშვილი – 22 ქულა, ტიბუ იამჩუ – 15, კოკორიშვილი – 13. ამრიგად, ბათუმელებმა სამ წარმატებულ თამაშში მიაღწიეს სასურველ შედეგს და ფინალშიც ღირსეულად გავიდნენ, ხოლო სტუ იქნება მათი მეტოქე თუ დინამო, ამას 14-15 მაისს გავიგებთ, როცა ეს ორი გუნდი დაუპირისპირდება ერთმანეთს. შეგახსენებთ, მატჩები დაიწყება 17 საათზე.

**ირაკლი სარალიძე**

## ნბა



6

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 3 თვე დარჩა

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 3 წელიწადი და 9 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

# სენსაცია...

უცხო სიტყვათა ლექსიკონში სიტყვა სენსაცია ასეა განმარტებული: 1. ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც საზოგადოებაზე ახდენს რაიმე ამბავი, შემთხვევა; 2. თვით ამბავი, შემთხვევა, რომელიც ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს, მითქმა-მოთქმას, ხმაურს იწვევს.

წყალბურთში საქართველოს ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრები გუნდები რუსეთის ჩემპიონები ხდებიან ორ ასაკობრივ ჯგუფში (1984-85 და 1986-87 წლებში დაბადებულნი). არის თუ არა ეს სენსაცია? რა თქმა უნდა, არის და მერე როგორი! თუმცა ამან ჩვენში, სადაც საზოგადოება ყველაფრის მიმართ ინდიფერენტულია, ამ ამბავს არც დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია და, ალბათ, არც ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია, დიდხანს რომ არ გაუნელდება ადამიანებს, ცხადია, ერთეულთა გამონაკლისის გარდა. რუსეთში, პირიქით, ქართველთა წარმატება ნამდვილ სენსაციად მონათლეს და ტალანტის დამფასებლებმა არც თბილი სიტყვები დაიშურეს ქართული წყალბურთის უმდიდრესი ტრადიციების ახლანდელი მემკვიდრეების მიმართ. პეტრე მშვენიერაძიდან მოყოლებული ქართველ წყალბურთელთა დღევანდელ შემოქმედთა წარმატებამდე, თაობებმა წარუშლელი კვალი დატოვეს, როგორც საბჭოთა, ისე მსოფლიოს, გნებავთ დღევანდელი რუსეთის წყალბურთის ისტორიაში თუ, ცხადია, აქვე ჩომახიძის ლვაწლსაც გავიხსენებთ ამ ქვეყნის ნაკრებში.

ისტორია მაინც თავისას იტყვის. გავა წლები და ამ ყმაწვილების ახლანდელ მიღწევას რუსეთის ღია ჩემპიონატში შთამომავლობა და, ალბათ, მანამდეც, გაიხსენებს, როგორც ქართული წყალბურთის აღორძინების სათავეს. ახლა შეიძლება შვებით ამოვისუნთქოთ და ვთქვათ: ქართული წყალბურთი აღარ მოკვდება, ყოველ შემთხვევაში, მისი გენი, თუ ასე გაგრძელდა და საკუთარ სამშობლოს სამსახურში არ ჩადგება, სხვა ქვეყნებში მაინც გაიბრწყინებს. ასეთ ბიჭებს ხელს არავინ ჰკრავს, მით უფრო, რომ უცხოეთის არაერთ კლუბს უჭირავს თვალი ქართველ ვუნდერკინდებზე.

გასულ პარასკევს ჩვენი ორივე გუნდი შინ დაბრუნდა და პირდაპირ „ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსს მიაშურეს, იქ, სადაც ისინი დაეუფლნენ წყალბურთის საიდუმლოებას. ბიჭებმა „ბუდე" მოინახულეს უპირველესად და პირველი, რაც გააკეთეს, ოქროს ერთი მედალი ამ საწყლოსნო კომპლექსის აქციონერთა საბჭოს თავმჯდომარეს, ქალბატონ ცისანა მჭედლიძეს გადასცეს სამახსოვროდ მადლიერების ნიშნად.

იმ დღეს ჟურნალისტები მიგვიწვიეს გამარჯვებულებთან შესახვედრად, პრესკონფერენციამდე რამდენიმე წუთი კიდევ რჩებოდა და მოსკოვიდან ახალდაბრუნებული წყალბურთელები, აუზის შესასვლელთან ლაღობდნენ დიდი და მცირე ოქროს მედლებით მკერდდამშვენებულები. პირველი განცდა, რაც მათ შემხედვარეს დამეუფლა, სინანულის განცდა იყო: სინანული იმისა, რომ ეს ყმაწვილები ახლა აქ კი არა, ალბათ პარლამენტის შესასვლელთან უნდა მდგარიყვნენ ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან შეხვედრის მოლოდინში და კიდევ: რატომ ვაკის დახურულ აუზთან არ იდგნენ ეს ბიჭები? რატომ მოუშალეს ეს „ბუდე" უპირველესად წყალბურთელებს და წყალში მხტომელებს. ამის შემდეგ კიდევ გაუკვირდება ვინმეს რაიმე?

წლეულსაც, ბიუჯეტიდან დაუფინანსებელი დარჩა სპორტის წყალთა სახეობების ოთხივე დისციპლინა. ასეთ დროს ფედერაციის მესვეურებს შესანიშნავი საბაბი ეძლევათ ხელი ჩაიქნიონ და სრულიად მოიხსნან პასუხისმგებლობა, მაგრამ ჭეშმარიტი პატრიოტები ურთულესი სიტუაციიდან გამოსავალს ეძებენ მუდამ. სპორტის წყალთა სახეობების ჩვენი ფედერაციის ხელმძღვანელებისთვის „ზედმეტი ტვირთის" წამოკიდება, ანუ წყალთა სახეობების გადარჩენა, მით უფრო, როცა ამას არავინ გაძალებს, ადვილი საქმე არ იყო. თავად დააძალეს საკუთარ თავს იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეეძლოთ. თუ ახლა არ უშველიდნენ, შემდეგ ვინ იცის როდის დაიბრუნებდა ქვეყანა, ან, საერთოდ, დაიბრუნებდა კი ტრადიციებს?

***ვლადიმერ გოიაშვილი*** – სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციის პრეზიდენტი, „ლაგუნა-ვერეს" დირექტორი: წყალბურთელები ახლა მხოლოდ ერთ აუზზე იზრდებიან. 90-იანი წლების ბოლომდე საქართველოში 160 საცურაო აუზი იყო. მათ შორის ათეულობით თბილისში. დღეს დედაქალაქში მხოლოდ 2-3 აუზი შემორჩა. ასეთ პირობებში გაზრდილი ბიჭები კონკურენციას უწევენ რუსეთის გუნდებს, სადაც 100-ზე მეტი გუნდი გამოდის ასაკობრივ შეჯიბრებებში. ჩვენში დაიხურა სპორტული სკოლებიც. რუსეთის ეროვნულ ნაკრებს წელიწადში 300 ათასი დოლარი აქვს გამოყოფილი და არასაკმარისად მიიჩნევენ, ჩვენთან კი...

„ლაგუნა-ვერე" ყოველწლიურად ნახევარ მილიონამდე ლარს ახმარს საქართველოში სპორტის წყალთა სახეობების განვითარებას, თანაც პირნათელია ბიუჯეტთან. „ლაგუნა-ვერეს" აქციონერთა კეთილი ნება რომ არა, ჩვენში წყალთა სახეობები დიდი ხნის „მიცვალებული" იქნებოდა. აქვე ვიტყვი, რომ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ქართული წყალბურთის ისტორიაში პირველად გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. განა ეს წარმატებები საკმარისი არ არის, რომ სახელმწიფომ ყურადღება მოგვაქციოს? იძულებული გავხდით საევროპოდ თანხების მოსაძიებლად საწყლოსნო კომპლექსში საქველმოქმედო კონცერტი დაგვეგეგმა 22 მაისისათვის. იმედია, საზოგადოებრიობა მხარს დაგვიჭერს.



***გივი ცქიტიშვილი*** – ფედერაციის გენერალური მდივანი, თბილისის მერიის სპორტსკოლის დირექტორი: როგორც გენერალური მდივანი გამუდმებით ვდგავარ ორგანიზაციული პრობლემების წინაშე. ახლოვდება შეჯიბრება, ზოგჯერ გამგზავრების წინა დღითაც გაურკვეველია ვიშოვნით თუ არა ფულს. თუ ვიშოვნით, იმდენი მოთამაშე მიდის შეჯიბრებაზე, რამდენსაც თანხა გასწვდება. ასე იყო ამჟამადაც. განახევრებული შემადგენლობით წავიდა გუნდები მოსკოვში. მადლობა ყველას, წყალბურთელებსაც და მწვრთნელებსაც სოსო მაისურაძეს და ირაკლი კიკალიშვილს ვაჟკაცობისათვის.

***სოსო მაისურაძე:*** ჩემი მხრიდან მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ქალაქის პრემიერს ბატონ გია შერაძეს, ფედერაციის ხელმძღვანელობას, ქალბატონ ცისანას, თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურს თანადგომისათვის. რუსეთის ახლანდელ ღია ჩემპიონატში ორივე ასაკში უსახსრობის გამო, 35 წყალბურთელის ნაცვლად წავიყვანეთ – 18. თავად განსაჯეთ, რა შეფარდებაა. მიუხედავად ამისა, ჩვენმა გუნდებმა დამაჯერებლად იასპარეზეს, უმეტეს მეტოქეებს დიდი უპირატესობით მოვუგეთ. მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენ ბოლო გამარჯვება, რითაც ჩემპიონები გავხდით, სწორედ 9 მაისს, გამარჯვების დღეს მოვიპოვეთ.

***ცისანა მჭედლიძე:*** ჩვენ კვლავაც მზად ვართ ხელი შევუწყოთ სპორტსმენს, ერთადერთ საზღაურს, რასაც მოვითხოვთ მათგან, ესაა მედლები და დიპლომები...

**თ. თომაშვილი**

# ღვაწლმოსილი პედაგოგი



საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დამსახურებულ მუშაკს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საკავშირო კატეგორიის მსაჯს სპორტულ ტანვარჯიშში, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის დოცენტს ავთანდილ ცომაიას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

50 წელზე მეტია ემსახურება ახალგაზრდა თაობის აღზრდას. თავისი საქმის მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, უმაღლესი კლასის თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი, დღესაც შესაშური ენერგიით უნაწილებს ცოდნას და გამოცდილებას კოლეგებს, მეგობრებს, სტუდენტებს, ასპირანტებს.

ავთანდილ ცომაიას აღზრდილი ჰყავს სპორტსმენთა მთელი პლეადა. მათ შორის არიან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის, სსრ კავშირის ჩემპიონები, სსრ კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორი გუნდი. გარდა ამისა, პროფკავშირების ცენტრალური საბჭოს, საერთაშორისო და საქართველოს პირველობათა პრიზიორები. არის მრავალი სამეცნიერო შრომისა და გამოგონებების ავტორი. მის მიერ შექმნილი ტრენაჟორები წარმატებით გამოიყენება სპორტულ წვრთნაში. დაჯილდოებულია დიპლომებით და მედლებით. ამჟამად წარდგენილია ღირსების ორდენზე.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრა, ყველა მისი თანამშრომელი, ვულოცავთ ჭეშმარიტად ნამდვილ მამულიშვილს, ბატონ ავთანდილ ცომაიას დაბადებიდან 70 წლის იუბილეს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და უხვ ენერგიას საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კეთილშობილურ სამსახურში.

**ბიული ქახიძე,**
საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე.

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**მძლეოსნობა. „მსოფლიო რბენის დღისადმი" მიძღვნილი შეჯიბრება. თბილისი. 10-11 მაისი**



***გოგონები. 100 მ:*** მ. ინაშვილი – 13,1, ა. მანჯგალაძე – 13,2, ა. ონიაშვილი – (სამივე თბ) – 13,3; ***200 მ:*** ე. ტყემალაძე – 26,4, თ. ესებუა – 26,5 მ. ინაშვილი (სამივე – თბ) – 26,6; ***400 მ:*** თ. ესებუა – 59,2, ე. ტყემალაძე – 59,6, მ. ინაშვილი (სამივე – თბ) – 59,7; ***800 მ:*** თ. ფაცაცია (ვანი) – 2.32,5, ქ. კუპატაძე – 2.36,7, ა. ტერ-კარაპეტიანი (ორივე – თბ) – 2.41,2; ***1500 მ:*** ს. ლაბაძე (ახალც) – 4.59,8, ნ. თათრულიძე – 5.11,2 მ. გუთანაიძე (ორივე – ახმეტა) – 5.38,6; ***3000 მ:*** ნ. თათრულიძე (ახმეტა) – 10.45,4, ს. ლაბაძე (ახალც) – 10.49,9; მ. გუთანაიძე (ახმეტა) – 11.33,5; ***400 მ. თარჯი:*** თ. ესებუა (თბ) – 1.07,4; ***შუბი:*** მ. ნიკოლაშვილი – 35,26, ო. იევლიევა (ორივე – თბ) – 29,65; ***ბადრო:*** ნ. ელიზბარაშვილი (თბ) – 35,45. ***ბირთვი:*** მ. ქევხიშვილი (გარდ) – 13,90, ნ. ელიზბარაშვილი – 12,02, თ. ჯაფარიძე (ორივე – თბ) – 8,36. ***სამხტომი:*** ქ. რურუა (მარტვილი) – 10,83. ***სიგრძე:*** ნ. ჯანელიძე (თბ) – 5,34, თ. რურუა (მარტვილი) – 4,63, ს. მაჭავარიანი (თბ) – 4,52. ***100 მ. ბიჭები:*** დ. ხუციშვილი (თბ) – 11,6, ბ. გიორბელიძე – 11,7, ი. ქარდავა (ორივე – ქუთ) – 11,8; ***100 მ. გაგ:*** გ. თალაკვაძე (ოზურგეთი) – 13,4, ს. ხეჩოიანი – 13,6, ს. გაბუნია (ორივე – თბ) – 13,9. ***200 მ:*** ა. კერვალიძე – 24,1, ქ. ბაიკეევი – 24,1, გიორხელიძე (სამივე – თბ) – 24,7. ***200 მ. გაგ:*** ქ. მორჩილაძე (ფოთი) – 25,1, ვ. ელოშვილი – 25,3, დ. ხუციშვილი (ორივე – თბ) – 24,3. ***200 მ. გაგ:*** ა. ჭანტურია – 30,7, ბ. ხუსკივაძე – 30,9, გ. კავკასიძე (სამივე – თბ) – 30,9. ***400 მ:*** ქ. ბაიკეევი – 53,9, ა. კირვალიძე (ორივე – თბ) – 53,9, ლ. გორდელაძე (ოზურგეთი) – 56,0; ***400 მ. გაგ:*** ს. ღარიბიანი – 1.00,4, ა. კაზარიანი – 1.06,5, დ. აბრამიშვილი (სამივე – თბ) – 1.06,9. ***800 მ:*** დ. გილაშვილი (საგარეჯო) – 2.04,3, ი. ქაბინი – 2.07,2, შ. გიორგაძე (ორივე – ახალც) – 2.11,4; ***1500 მ:*** ი. ჯაიძე (ახმეტა) – 4.17,5, ი. ქაბინი (ახალც) – 4.20,0, ჯ. ხოფერია (ფოთი) – 4,23,6; ***3000 მ:*** ი. ჯაიძე (ახმეტა) – 9.15,7, ქ. ნებაძე (ახალც) – 9.35,8, შ. რაინაული (ახმეტა) – 9.53,7; ***3000 მ. გაგ:*** ვ. გოგინაძე (ვანი) – 10.56,5, ი. ელანაიძე – 10.58,5, გ. გოჩილაიძე (ორივე – ახმეტა) – 11.07,1; ***110 მ. თარჯი:*** გ. გვიჩია – 15,7, გ. გურგენაძე (ორივე – ფოთი) – 16,7, გ. ამირანაშვილი (თბ) – 17,4; ***400 მ. თარჯი:*** გ. გვიჩია (ფოთი) – 1.01,1. ***შუბი:*** გ. ხვთისიაშვილი (მცხეთა) – 57,80, გ. გოგლიძე (თბ) – 50,54; ***სამხტომი:*** ბ. დანელია – 13,61, დ. რურუა – 12,94, გ. გოჩელაშვილი (სამივე – მარტვილი) – 11,30; ***ბადრო:*** გ. ბედოშვილი – 36,92, ქ. ასათიანი (ორივე – თბ) – 26,88; ***ბირთვი:*** მ. ტუღუში (ოზურგეთი) – 18,74, ე. აბრამიანი – 15,30, გ. ბედოშვილი (ორივე – თბ) – 13,70; ***სიგრძე:*** გ. ამირანაშვილი (თბ) – 5,98, გ. გურგენიძე – 5,70, მ. ფაჩულია (ორივე – ფოთი) – 5,68; ***სიგრძე გაგ:*** მაჭარაშვილი – 4,98. ლ. თავართქილაძე (ორივე – ოზურგეთი) – 4,75, ს. გაბუნია (თბ) – 4,26.

***ვაჟები: 100 მ:*** შ. მამუდოვი – 10,6, ქ. ვაჩეიშვილი (ორივე – აჭარა) – 10,7, ბ. ბადრიძე (თბ) – 10,8; ***200 მ:*** გ. ჩხაპელია (აფხაზეთი) – 22,3, რ. მანუკიანი – 22,5, ზ. წერეთელი (ორივე – თბ) – 22,6; ***400 მ:*** ზ. წერეთელი (თბ) – 50,1, გ. ჩხაპელია (აფხაზეთი) – 50,2, რ. მანუკიანი (თბ) – 50,8. ***800 მ:*** ა. მეტრეველი – 2.03,0, ა. პოზივაილო (ორივე – თბ) – 2.03,4, გ. იურკანოვი (გარდაბანი) – 2.07,4; ***110 თარჯი:*** დ. ილარიანი (გარდაბანი) – 14,0, ს. ტურიატკო (ქუთაისი) – 14,2, დ. ცუცქირიძე (ბორჯომი) – 16,9; ***3000 მ:*** ზ. ზილბერშტეინი (ახალც) – 8.42,2, გ. მამიკონიანი (თბ) – 9.08,3; ***სიგრძე:*** დ. ილარიანი (გარდაბანი) – 7,13, დ. ცუცქირიძე (ბორჯომი) – 6,08, მ. ფაჩულია (ფოთი) – 5,71. ***ბირთვი:*** ზ. გიგაია (მარტვილი) – 17,13, ***სამხტომი:*** მ. ფაჩულია (ფოთი) – 12,43; ***შუბი:*** ზ. შეთეკაური (დუშეთი) – 62,25.

**ბაგრატ მექვაბიშვილი**

**კალათბურთი ● ქალთა ეროვნული ჩემპიონატი**

# თსუ პირველია



დამთავრდა კალათბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის. გათამაშებაში მონაწილეობდნენ თსუ-ს, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის, „მართვეს“ და „იმედის“ გუნდები. ჩემპიონის წოდება წილად ხვდა თსუ-ს გუნდს, რომელმაც 40 ქულა მოაგროვა და ყველა ოცივე შეხვედრა მოიგო, მეორე ადგილზეა ქუთათურთა ნაკრები — 16 ქულა, მესამეზე — „მართვე“ — 12, შემდეგ მოდიან: ბათუმი — 8, „იმედი“ — 3 და რუსთავი — 1. ჩემპიონატი ჩატარდა 4 ტურად.

გამარჯვებულ გუნდში თამაშობდნენ: ნათია რუხაძე, ნათია აგლაძე, რუსუდან სიდამონიძე, მაია ჩარგეიშვილი, ნათია ცხადაძე, მაკა კუპატაძე, მარინა მელიქიძე, გვანცა ომიაძე, ნატო ჩიკვაიძე, ნათია ცინცაძე, ნათია აბულაძე, ია ნაკაშაშვილი, მერი ნაჭყებია, მაია ტიტიური, მწვრთნელები ელდარ კაპანაძე და იანა ავსაჯანიშვილი, გუნდის უფროსი — ლამარა გენგაშვილი.



ჩემპიონი, გუნდი და მწვრთნელები

**ფარიკაობა** **საქართველოს პირველობა ჭაბუკთა შორის**

# „თორნიკე კენჭაძემ გაგვაოცა“

ახლოვდება დსთ-ს და ბალტიის ქვეყნების ჭაბუკთა პირველი საერთაშორისო სპორტული თამაშები, რომელსაც მოსკოვი უმასპინძლებს. ჩვენში ახლა ამ ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებები ზემოხსენებული თამაშებისთვის კანდიდატთა შერჩევის მიზნით ტარდება. ერთი ასეთი ასპარეზობა გასულ კვირას დამთავრდა ქუთაისში.

თუ ვიტყვით, რომ ფარიკაობაში რაიმე შეჯიბრება 10 წელზე მეტია თბილისს არ გასცდენია, ქუთაისში გამართულ ჭაბუკ მუშკეტერთა ტურნირი „ნავსის გატეხვადაც“ უნდა ჩაითვალოს. ეს ერთი, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, თუ როგორ ჩატარდა პირველობა. გუშინ ჩვენი ფედერაციის გენერალური მდივანი მორის სახვაძე შეგვეხმიანა და აღფრთოვანებას ვერ მალავდა მასპინძელთა. ორგანიზებულობით და შეჯიბრების ჩატარების მაღალი დონით. „ყველაფერ ამაში უდიდესი წვლილი შეიტანა ქუთაისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ თორნიკე კენჭაძემ. ამ კაცმა პირდაპირ გაგვაოცა, ყველაფერი გააკეთა, რომ თითოეული ჩვენგანისთვის გაეხსენებინა თუ როგორ უნდა ასპარეზობის მასპინძლობა. დიდი მადლობა მას“ — გვითხრა მორისმა.

***ახლა კი წარმოგიდგენთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. ბიჭები: ხმალი:*** 1. ნ. ბახსოლიანი, 2. გ. ჩხაიძე (ორივე — თბ), 3. ა. ლომთაძე (ქუთ) და გ. ბახსოლიანი (თბ), ***რაპირა:*** 1. ა. ბარკალოვი (ბათ), 2. რ. ლომიძე (თბ), 3. ა. ჭეიშვილი (ქუთ) და გ. გრიგოლია (აფხ); ***დაშნა:*** 1. მ. ჯიქია, 2. გ. სილაგაძე (ორივე — თბ), გ. არველაძე (ქუთ) და ა. აკაევი (ბათ); ***გოგონები. დაშნა:*** 1. ქ. სილაგაძე, 2. ნ. ხორკინა (ორივე — თბ), 3. მ. გუგეშაშვილი (ქუთ) და დ. მოდებაძე (თბ); ***რაპირა:*** 1. ნ. კოზიაშვილი, 2. ლ. ძნელაძე, 3. მ. ჩაბრაძე და ლ. გიორგაძე (ყველა — თბ). ხმალში ერთადერთი გოგონა იყო წარმოდგენილი — ნათია საკაშვილი, რომელიც ბიჭებში ასპარეზობდა. მართალია, მან დაამარცხა ბიჭებში საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი ი. ზამბახიძე, მაგრამ შემდეგ თავადაც წააგო და საპრიზო ადგილზე ვერ მოხვდა.

**ც. ბაქრაძე**





# გაზეთის დაბეჭდვის წინ:

## დღეს მონაკოში...

დღეს, 14 მაისს, მონაკოში დიდი სპორტული ზეიმია — ჩატარდება მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოების ცერემონიალი. მსოფლიოში საუკეთესო სპორტსმენის სახელის მინიჭების პრეტენდენტები არიან „ფორმულა-1“-ის პილოტი მიხაელ შუმახერი, გოლფის ვარსკვლავი ტაიგერ ვუდსი, რომელსაც ეს ჯილდო შარშან გადაეცა, მოცურავე იან ტორპი, ველოსიპედისტი ლენს არმსტრონგი და მძლეოსანი სტეისი დრაგილა, გოლფისტი ანიკა სორენსტამი და ჩოგბურთელი ვინუს უილიამსი. შარშანდელი ლაურეატია მძლეოსანი კეტი ფრიმენი.

ჯილდოები გაიცემა აგრეთვე ნომინაციებში: „საუკეთესო ახალბედა“, „საუკეთესო გუნდი“, „წლის ყველაზე წარმატებული დაბრუნება“, „საუკეთესო სპორტსმენი — ინვალიდი“, „სპორტში განსაკუთრებული დახმარებისათვის“, „საუკეთესო სპორტსმენი სპორტის ალტერნატიულ სახეობაში“, აგრეთვე „სპორტი კაცობრიობის კეთილდღეობისთვის“.

დაჯილდოების ცერემონია ჩატარდება „ფორუმ გრიმალდიში“, მონტე-კარლოში პრინც ალბერტის პატრონაჟობით.

## «ჯიროს» მეორე ეტაპი



**პოპულარულ „ჯირო დ, იტალიის“ მეორე ეტაპზე გუშინ წარმატებას მიაღწია იტალიელმა გარცელიმ, რომელმაც კიოლნ-ლიეჟის 209 კმ-იანი ტრასის დაფარვას 5 საათი, 25 წუთი და 12 წამი მოანდომა. მეორე იყო მისი თანამემამულე კაზაგრანდე, მესამე — გერმანელი ხეპნერი, მეოთხე — რებელინი და მეხუთე — ჰემილტონი (აშშ). გუნდური ჩათვლა: 1. გარცელი — 11:10.45, 2. გუდი (იტალია) — 0.13, 3. ფერბრიუგე — (ბელგია) — 0.19, შემდეგ მოდიან: დომინგესი (ესპანეთი) — 0.21 და კესლერი (გერმანია) — 0.27... (იხ. მე-6 გვ).**

## გარდაიცვალა ვალერი ლობანოვსკი



**კიევის „დინამოს“ მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი წუხელ გარდაიცვალა ზაპოროჟიეს საავადმყოფოში. მისი ჯანმრთელობა კვლავ ძალიან მძიმე იყო. შაბათს მას ოპერაცია ჩაუტარეს. ვარაუდობდნენ, რომ პარასკევს გადაიყვანდნენ კიევში, მაგრამ რაკი მდგომარეობა დამძიმდა, სასწრაფოდ იქვე ჩაერივნენ საქმეში ქირურგები. ოპერაცია გაგრძელდა 5 საათი. პაციენტის ჯანმრთელობა არ გაუმჯობესებულა. სიკვდილის მიზეზი გახდა ტვინში სისხლის განმეორებით ჩაქცევა. იგი 63 წლისა იყო.**

## „რივერ პლეიტი“ ვადამდე გახდა ჩემპიონი

დაამარცხა რა დიდი ანგარიშით 5-1 გათამაშების აუტსაიდერი „რახენტინოს ხუნიორსი“ დედაქალაქის „რივერ პლეიტმა“ ვადამდე გაინაღდა არგენტინის ჩემპიონობა. უახლოესი მდევარი „ხიმნასი“ „რივერსს“ ოთხი ქულით ჩამორჩება. ასე რომ, ბოლო ტური ფაქტობრივად აღარაფერს ნიშნავს. „რივერ პლეიტისთვის“ ეს წარმატება გარკვეულწილად საიუბილეოა — იგი ოცდამეათედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

## ფილიპ ტრუსიემ ნათესავი დაკარგა

**იაპონიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელმა ფილიპ ტრუსიემ დატოვა ნაკრები და გაეშურა საფრანგეთს, მას შემდეგ, რაც საავტომობილო კატასტროფაში ნათესავი ბიჭის დაღუპვის ამბავი შეიტყო. მწვრთნელი დანიის დედაქალაქში იმყოფებოდა, სადაც იაპონიის ნაკრები 14 მაისს ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს ამ ქვეყნის ნაკრებთან. იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია იტყობინება, რომ ტრუსიე გუნდს შეუერთდება მატჩის წინ და იაპონიაშიც ნაკრებთან ერთად დაბრუნდება.**

## ამხანაგური მატჩები

საბერძნეთი — რუმინეთი 3-2 (1-0); მექსიკა — კოლუმბია 2-1 (0-0); აშშ — ურუგვაი 2-1 (2-0)

**საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები**

# დენის ლოუ

ბრიტანული ფეხბურთის ვარსკვლავების – სტენლი მეტიუზის, ტომი ლაუტონის, ბობი ჩარლტონის, ჯორჯ ბესტის, ჯონ ჩარლზის და სხვათა გვერდით მოიხსენიებენ დენის ლოუს, შოტლანდიური ფეხბურთის ვარსკვლავს, რომელმაც არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

ათზე მეტი სეზონის განმავლობაში დენის ლოუ წარმატებით გამოდიოდა განთქმულ „მანჩესტერ იუნაიტედში“, ისეთ ვარსკვლავთა გვერდით, როგორიც იყვნენ – ბობი ჩარლტონი და ჯორჯ ბესტი, იგი ერთდროულად იცავდა შოტლანდიის ნაკრების ღირსებას. დენის ლოუს, როგორც მსოფლიო კლასის ფეხბურთის ვარსკვლავად აღიარებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1964 წელს მან მოიპოვა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის წოდება და დაისაკუთრა ყოველკვირეულ „ფრანს ფუტბოლის“ პრიზი – „ოქროს ბურთი“, მანამდე კი 1963 წლის ოქტომბერში მან მონაწილეობა მიიღო ფიფას ნაკრების შემადგენლობაში – რომელიც მიეძღვნა ბრიტანული ფეხბურთის საუკუნოვან იუბილეს. დენის ლოუს ფიფას ნაკრებში პარტნიორობას უწევდა მსოფლიო კლასის აღიარებული ოსტატები ფერენც პუშკაში, რაიმონ კოპა, ფრანცისკო ჰენტო, ეუსებიო...



დენის ლოუ

დენის ლოუს კარიერა საკმაოდ წარმატებით დაიწყო შოტლანდიის ნაკლებად ცნობილ საკლუბო გუნდ „ჰადერსფილდის“ შემადგენლობაში, საიდანაც იგი შეიძინა „მანჩესტერ სიტიმ“, სადაც პირველსავე სეზონში იგი ბომბარდირად მოევლინა ამ კლუბს – გაიტანა რა 19 გოლი – ეს იყო 1960-61 წლის სეზონში. ამავე სეზონში თასის გათამაშებაში მან 6 გოლი გაიტანა. მიუხედავად ასეთი თავბრუდამხვევი ტრიუმფისა, დენის ლოუს კარიერა არ ყოფილა ია-ვარდებით მოფენილი. იმავე 1961 წელს შოტლანდიის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში დენის ლოუც გამოდიოდა, გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდა ინგლისის ნაკრებთან, და ბუნებრივია, ამ მარცხში მასაც დადეს ბრალი, რის შედეგად იგი გარკვეული დროით გამოეთხოვა შოტლანდიის ნაკრებს. ამ და სხვა მიზეზთა გამო იგი ერთი სეზონით გადაბარგდა იტალიაში და ჩაირიცხა ცნობილ კლუბ „ტორინოში“, სადაც მეორე ბრიტანელი ვარსკვლავი, უელსელი ჯონ ჩარლზიც გამოდიოდა.

იტალიიდან დაბრუნებული დენის ლოუ ჩაირიცხა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში, რომელიც მიუნხენის ცნობილი ავიაკატასტროფის შემდეგ ძალას იკრებდა. ამ კლუბში სრულად გამოვლინდა დენის ლოუს როგორც გოლეადორის ყველა საუკეთესო თვისება. მის არასტანდარტულ თამაშს სრული ქაოსი და არეულობა შეჰქონდა მოწინააღმდეგე გუნდის დაცვის რიგებში. ლოუ შეუდარებელი იყო თავით და ქუსლით თამაშით. პირველსავე სეზონში განახლებულმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოიპოვა ინგლისის თასი. მომდევნო 1963-1964 წლის სეზონში, ინგლისის ჩემპიონატის 30 მატჩში მან 30 გოლი გაიტანა. 1964-65 წლის სეზონში კი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ არნახული შედეგს მიაღწია – მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. ამ ჩემპიონატში დენის ლოუმ 28 ბურთი გაიტანა. იგივე შედეგი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ორი წლის შემდგომ გაიმეორა, რომელშიც ლომის წილი დენის ლოუს მიუძღვოდა.

1968 წელს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კლუბის არსებობის ისტორიაში ტრიუმფალურ შედეგს მიაღწია, მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. სამწუხაროდ, ტრავმის გამო დენის ლოუს ამ გათამაშებაში მონაწილეობა არ მიუღია. ამ ხნიდან მოყოლებული ლოუს თამაში რამდენადმე გაუფერულდა, რადგან იგი იშვიათად გამოდიოდა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში. კარიერის ბოლო ერთი სეზონი დენის ლოუმ „მანჩესტერ სიტიში“ გაატარა, რის შემდეგ იგი გამოეთხოვა ფეხბურთს. თუმცა სპორტის ამ რჩეული სახეობიდან იგი არ წასულა, მიიღო მსოფლიოს ერთ-ერთი გავლენიანი რადიოკორპორაციის ბი-ბი-სის წინადადება გაძღოლოდა ფეხბურთის მატჩების რეპორტაჟებს, რომლის მეოხებითაც დენის ლოუ ისევე პოპულარული რადიო და ტელეკომენტატორი გახდა, როგორიც თავის დროზე ფეხბურთელი იყო.

**დემურ ტორაძე**

## რუსეთის ჩემპიონატი

**XII ტური**

შინიკი — ტორპედო 2-1
კრილია — ანჟი 4-0
ალანია — დინამო (მ) 1-2
ლოკომოტივი — როტორი 3-0
სატურნი — ტორპედო ზილი 1-3
სპარტაკი — სოკოლი 2-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 12 | 9 | 2 | 1 | 21-6 | 29 |
| ცსკა | 11 | 8 | 1 | 2 | 23-11 | 25 |
| კრილია | 12 | 6 | 3 | 3 | 18-13 | 21 |
| სპარტაკი | 12 | 6 | 2 | 4 | 20-17 | 20 |
| სატურნი | 12 | 5 | 4 | 3 | 18-15 | 19 |
| ზენიტი | 11 | 5 | 3 | 3 | 13-10 | 18 |
| შინიკი | 12 | 5 | 3 | 4 | 17-17 | 18 |
| დინამო | 12 | 5 | 1 | 6 | 14-13 | 16 |
| როტორი | 12 | 4 | 3 | 5 | 8-13 | 15 |
| ურალანი | 11 | 3 | 6 | 2 | 16-14 | 15 |
| ტორპედო | 12 | 3 | 4 | 5 | 16-15 | 13 |
| ტორპ.ზილი | 12 | 3 | 4 | 5 | 8-15 | 13 |
| ანჟი | 12 | 2 | 6 | 4 | 10-17 | 12 |
| როსტსელმ. | 11 | 2 | 3 | 6 | 12-20 | 9 |
| ალანია | 12 | 2 | 2 | 8 | 13-22 | 8 |
| სოკოლი | 12 | 1 | 2 | 9 | 5-15 | 5 |



# ვაკეში „ტორპედოსთვის“ ისროლეს

**12 მაისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი.**

**ლოკომოტივი (თბილისი) — დინამო (თბილისი) 0–0**

***ლოკომოტივი:*** ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, სალუქვაძე, ონიანი, ზ. ლაცაბიძე, გელა ქორიძე, ჰიჭვეიშვილი (სირაძე 66), გოგიჩაიშვილი, ზ. ჯანაშია, რუსია.
***დინამო:*** ზოიძე, კარლოსი, კანდელაკი, შაშიაშვილი, სახვაძე, ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, ანჩაბაძე, გ. მიქაძე (ბობოხიძე 56), გოგობერიშვილი.
ბურდულმა მე-13 წუთზე ვერ გამოიყენა პენალტი.
***მსაჯი:*** ა. მეშკოვი (თბილისი).

მატჩის საბოლოო შედეგი ყველაზე მეტად ქუთაისელებს გაახარებდა, „ტორპედომ“ ისევ დაიბრუნა ლიდერობა. თბილისური დერბი კვლავინდებურად, სატურნირო ვითარების შესაბამისად, დაძაბულად წარიმართა. "დინამომ" საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, სათასო ნახევარფინალის მსგავსად, ისევ ვერ შეძლო რკინიგზელთა კარის აღება. ფრემ კი დედაქალაქის ორივე კლუბის უშუალო მეტოქის ქუთაისის „ტორპედოს“ წისქვილზე დაასხა წყალი.



ელდარ მალხაზიშვილის ფოტოები

## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა, VIII ტური

გამარჯვების შემთხვევაში ერთიც და მეორეც ჩემპიონობისკენ მყარ ნაბიჯს გადადგამდა, მაგრამ ფორტუნამ სხვაგვარად ინება. ფინიშს მიახლოებული, მეცამეტე ეროვნული, კიდევ უფრო დაიძაბა.

თამაშში კვანძი მეცამეტე წუთზე უნდა გახსნილიყო, მაგრამ ბურდულის მიერ პენალტის ნიშნულიდან დარტყმულმა ბურთმა „ლოკომოტივის“ კარის მაგიერ ღრუბელი გახვრიტა. დაწინაურების შანსი „დინამოს“ კიდევ ჰქონდა, თუმცა ვერც დარასელიამ, ვერც გოგობერიშვილმა, ანჩაბაძემ და კარლოსმა რკინიგზელთა მეკარეს ვერაფერი მოუხერხეს. მასპინძლებმა დაცვის ხაზი და მინდვრის ცენტრი კარგად გაამაგრეს. სტუმართა ორ საყრდენ ნახევარმცველს, თავადაც ორი საყრდენი დაუპირისპირეს. შეტევაში კი, თითქმის ეულად დარჩენილი ჯანაშიას იმედად იყვნენ, მაგრამ თავდამსხმელს ამჯერად არაფერი გამოსდიოდა. თუმცა, პირველი ტაიმის ბოლოს „ლოკომოტივმა“ ჰიჭვეიშვილ — ჯანაშია — გოგიჩაიშვილის ზუსტად გათამაშებული სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ რეალური საგოლე სიტუაცია შექმნა, მაგრამ „დინამო“ გადარჩა. მეორე ტაიმში სტუმრებმა შეტევებს მოუხშირეს. კუთხურს კუთხური ენაცვლებოდა, იერიშს იერიში ცვლიდა, ლომაია კი უდრტვინველად და ოსტატურად იგერიებდა კარისკენ დარტყმულ ბურთებს. ერთ ეპიზოდში ანჩაბაძემ ჩინებული პასით მეკარის პირისპირ დატოვა დარასელია, მანაც დარტყმა არ დაახანა, თუმცა მეკარეს ისევ ვერ აჯობა. მეორე ნახევარში ალსანიშნავი კიდევ ორი ეპიზოდი იყო. ჯარიმიდან გოგიჩაიშვილმა პირდაპირ კარში გაგზავნა ბურთი, მაგრამ ზოიძემ იგი მოიგერია, მერე იყო ლომაია-ანჩაბაძის დუელი, მეკარემ თავდამსხმელის ზუსტად და ძლიერად დარტყმული ბურთი ნახტომში კუთხურზე მოიგერია. მატჩის დასრულებას რამდენიმე წუთი აკლდა, როდესაც 30-იოცე მეტრიდან დინამოელმა კარლოსმა „ყუმბარა“ „ლოკომოტივის“ კარის ხარიხას მოარტყა, ამჯერად მასპინძლები გადაურჩნენ ნაღდ გოლს.



მოკლედ, ვაკეში გაგორებული უშელავათო „ყაიმით“ იმერლებმა იხეირეს. „ტორპედომ“ „მერანი“ გააცამტვერა და კვლავ პირველია. ინტერტოტოს საგზურისთვის მოქიშპე ზღვისპირელები ბათუმში დაზავდნენ. კოლხებმა სამქულიანი უპირატესობა შეინარჩუნეს.

**I-VI ადგილები**

ტორპედო — მერანი 3-0
დინამო (ბთ) — კოლხეთი 1913 1-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ტორპედო** | 8 | 5 | 1 | 2 | 10-5 | 42 |
| **დინამო (თბ)** | 8 | 7 | 1 | 0 | 10-0 | 41 |
| **ლოკომოტივი** | 8 | 5 | 1 | 2 | 10-4 | 41 |
| **კოლხ.1913** | 8 | 2 | 2 | 4 | 7-9 | 26 |
| **დინამო (ბთ)** | 8 | 1 | 1 | 6 | 4-13 | 23 |
| **მერანი** | 8 | 1 | 0 | 7 | 3-13 | 20 |

კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება ვითარება ქვედა ექვსეულში. რუსთავის „გორდამ“ ზესტაფონიდან ქულა კი წამოიღო, მაგრამ გასავარდნ ზონას ვერ მოსცილდა. „სიონმა“ შინ წყალტუბოელებს მოუგო და კვლავ მერვეა. სამგურალი კი ორი საფეხურით ჩამოქვეითდა. ერთადერთი გუნდი „ვიტ ჯორჯიაა“, რომელსაც შეუძლია მშვიდად ადევნოს თვალი სატურნირო პერიპეტიებს.

**VII-XII ადგილები**

მეტალურგი — გორდა 0-0
სიონი — სამგურალი 2-1
ვიტ ჯორჯია — გურია 1-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ვიტ ჯორჯია** | 8 | 5 | 1 | 2 | 12-8 | 33 |
| **სიონი** | 8 | 4 | 0 | 4 | 15-12 | 25 |
| **მეტალურგი** | 8 | 4 | 1 | 3 | 13-10 | 23 |
| **სამგურალი** | 8 | 5 | 0 | 3 | 11-7 | 22 |
| **გორდა** | 8 | 4 | 2 | 2 | 15-11 | 21 |
| **გურია** | 8 | 0 | 0 | 8 | 3-21 | 8 |

## ტურის სტატისტიკა

***ვიტ ჯორჯია – გურია 1-0***
***ვიტ ჯორჯია:*** ჰურაძე, ლ. ნოზაძე, თ. კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, გველესიანი (დ. დოლიძე 66), გოჩაშვილი (გ. ფეიქრიშვილი 77). დიღმელაშვილი, ადამია, თედორაძე, წუწუნავა (ს. იაშვილი 69), მელქაძე.
***გურია:*** ჩომახიძე, ხუნაშვილი (გ. გიორგაძე 75), განევი, გ. ქვანია, ფაცურია, იმნაიშვილი (გალოგრე 55), ლ. ჩხაიძე, კუკულაძე, კიკაჩეიშვილი, ნაროუშვილი, დ. სულაქველიძე.
***გოლი:*** 1-0 ადამია (31)
***მსაჯი:*** ი. კახიანი (თბილისი)

***სიონი – სამგურალი 2-1***
***სიონი:*** ვოლკოვი, ბურნაძე, პაპიძე (ბ. შენგელია 46), მინდიაშვილი, კარიაული, ხუჭუა, მოსეშვილი (ლ. ამბიძე 78), შ. ისიანი, მინაშვილი, გ. ქორიძე (ბარნოვი 46), გაბისკირია.
***სამგურალი:*** ბობოხიძე, ლ. ქობულაძე, ბანძელაძე, დ. ჰელიძე, ჯინჭარაძე, ფხაკაძე, ნებიერიძე, შეყრილაძე, კოპალიანი (შარაბიძე 46), კიკვიძე, ხაჭაპურიძე (ლონლაძე 46).
***გოლები:*** 1-0 ისიანი (18), 2-0 გ. ქორიძე (31), 2-1 კიკვიძე (64).
***მსაჯი:*** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

***მეტალურგი – გორდა 0-0***
***მეტალურგი:*** ა. ლაბაძე, მაღლაკელიძე, ბაქრაძე, მემარნიშვილი (მ. ლონლაძე 80), მერებაშვილი, გაბრიჭიძე, სულაკაძე, კაციაშვილი, გეწაძე, ენდელაძე, ვარდიაშვილი (კობესაშვილი 64).
***გორდა:*** ბათიაშვილი, კედელაშვილი, ბერიძე, ზ. ცქიფურიშვილი, ლაშა სილაგაძე, ზვიად ლაბაძე, მელაძე (ხმალაძე 80), ალადაშვილი, გ. კილასონია, ჯელაძე, დ. გოდერძიშვილი.
***გააფრთხილეს:*** ბერიძე, კედელაშვილი, ხმალაძე, გეწაძე
***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

***ტორპედო – მერანი 3-0***
***ტორპედო:*** სტურუა, მახვილაძე, აბრამიძე, გამეზარდაშვილი, თოდუა, შ. ბაბუნაშვილი (ძამსაშვილი 56), ასათიანი, დიდავა, პოროშინი, ჭმოკლიძე (ქუთათელაძე 46), იონანიძე (გ. კვარაცხელია 46).
***მერანი:*** ნაჭყპია, გუჯაბიძე, დევიძე, გ. ილურიძე, გაბიდაური, ბაჯელიძე, კოშკაძე, ფირცხალაიშვილი (ფურცელაძე 60), ი. შენგელია (ც. მეტრეველი 68), ჭინჭარაული, ბოლქვაძე (ცაცაშვილი 56).
***გოლები:*** 1-0 პოროშიხი (8), 2-0 ბაბუნაშვილი (10), 3-0 იონანიძე (43 პ).
***მსაჯი:*** ა. შილაკაძე (თბილისი).

***დინამო (ბთ) – კოლხეთი 1913 1-1***
***დინამო:*** ჰანტურია, თურმანიძე, მინდაძე, არჩვაძე, გვაზავა (კობიძე 64), დარჩიძე, ხუჯაძე, რომანაძე, დ. ჯანაშია, ტუღუში, აფხაზავა.
***კოლხეთი:*** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ახვლედიანი, მ. ქობულაძე, კვირკველია, ქუტიძე (დაუშვილი 46), კვეტენაძე, ოდიკაძე (ჭანტურიძე 73), გუჩუა, ნარსია.
***გოლები:*** 1-0 ქობულაძე (3), 1-1 აფხაზავა (51 პ)
***გააფრთხილეს:*** კვეტენაძე, ქობულაძე.
***მსაჯი:*** ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**ბომბარდირები**
**პოროშინი (ტორპედო) — 16**
**დავითაშვილი (ლოკომოტივი) — 14**

## პირველი ლიგა, VIII ტური

**I-VI ადგილები**

ლოკომოტივი 3 — დილა 1-3
მილანი — თსუ 2-2
ქობულეთი — ცხინვალი 1-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მილანი** | 8 | 6 | 2 | 0 | 15-5 | 43 |
| **დილა** | 8 | 5 | 1 | 2 | 14-9 | 41 |
| **ქობულეთი** | 8 | 5 | 0 | 3 | 8-6 | 36 |
| **თსუ** | 8 | 4 | 1 | 3 | 9-9 | 36 |
| **ლოკომ3** | 8 | 2 | 0 | 6 | 13-14 | 26 |
| **ცხინვალი** | 8 | 0 | 0 | 8 | 9-19 | 18 |

**VII-XII ადგილები**

დინამო2 — ლოკომ (სამტრ)2-0
მერანი2 — კოლხეთი (ხ)2-3
ლაზიკა — ისვენებს

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინამო2 (თბ)** | 6 | 5 | 1 | 0 | 13-4 | 30 |
| **კოლხეთი (ხ)** | 6 | 3 | 1 | 2 | 9-11 | 21 |
| **ლაზიკა** | 6 | 2 | 1 | 3 | 11-7 | 20 |
| **ლოკ.(სამტრ)** | 7 | 2 | 1 | 4 | 6-11 | 17 |
| **მერანი2** | 7 | 2 | 0 | 5 | 8-16 | 14 |



## რეგიონული ლიგა. XXXI ტური

**აღმოსავლეთის ზონა**

კრწანისი – თბილისი 3-0
მაუდი – ჯავახი 3-0
ვიტ ჯ2 – ოლიმპიკი 3-0
მრეტები – ჭაბუკიანი 0-3
ლიახვი – მესხეთი 0-1
დინამო3 – ალაზანი 0-0
მცხეთა – აკადემია 1-0
ივერია – გორდა 4-1
მერანი – ცხუმი 1-4
ზოოვეტი – ისვენებს.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **მცხეთა** | 30 | 23 | 5 | 2 | 69-13 | 74 |
| **ივერია** | 30 | 21 | 2 | 7 | 81-39 | 65 |
| **მაუდი** | 30 | 20 | 5 | 5 | 59-24 | 65 |
| **ალაზანი** | 29 | 19 | 3 | 7 | 64-28 | 60 |
| **ვიტ ჯორჯ2** | 29 | 16 | 7 | 6 | 66-28 | 55 |
| **ოლიმპიკი** | 29 | 16 | 6 | 7 | 62-31 | 54 |
| **ზოოვეტი** | 29 | 17 | 2 | 10 | 57-34 | 53 |
| **ჭაბუკიანი** | 29 | 14 | 9 | 6 | 50-24 | 51 |
| **ცხუმი** | 29 | 14 | 8 | 7 | 56-27 | 50 |
| **მესხეთი** | 29 | 14 | 2 | 13 | 39-41 | 44 |
| **დინამო3** | 30 | 11 | 7 | 12 | 44-37 | 40 |
| **ლიახვი** | 30 | 12 | 2 | 16 | 40-54 | 38 |
| **აკადემია** | 29 | 10 | 8 | 11 | 40-42 | 33 |
| **კრწანისი** | 29 | 8 | 4 | 17 | 37-61 | 28 |
| **გორდა2** | 29 | 7 | 7 | 15 | 37-48 | 28 |
| **თბილისი** | 29 | 4 | 6 | 19 | 34-86 | 18 |
| **მერანი3** | 30 | 4 | 4 | 22 | 19-79 | 16 |
| **მრეტები** | 30 | 2 | 6 | 22 | 25-60 | 12 |
| **ჯავახი** | 29 | 0 | 1 | 28 | 17-126 | 1 |

**დასავლეთის ზონა**
**XXX ტური**

საპოვნელა – დინ (სოხ) 3-1
მერცხალი – სამეგრელო 1-0
დინამო2 – სულორი 1-2
ინტერი – გურია2 1-2
კოლხეთი2 – მეტალურგი 2 1-0
სქური – დინ (ზ) 0-1
საირმე – ოკრიბა 3-1
ჩიხურა – ეგრისი 2-0
სალხინო – გზები 4-1
ლუკა – მაღაროელი 0-2

**XXXI ტური**

ლუკა – საპოვნელა 0-3
მაღაროელი – სალხინო 5-2
გზები – ჩიხურა 1-3
ეგრისი – საირმე 1-0
ოკრიბა – სქური 2-0
დინამო (ზ) – კოლხეთი2 2-1
მეტალურგი2 – ინტერი 0-0
გურია2 – დინამო2 0-1
სულორი – მერცხალი 1-0
სამეგრელო – დინამო (სოხ) 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სულორი** | 31 | 26 | 1 | 4 | 75-27 | 79 |
| **დინამო (ზ)** | 30 | 23 | 3 | 4 | 72-31 | 72 |
| **მერცხალი** | 29 | 22 | 4 | 3 | 61-16 | 70 |
| **მაღაროელი** | 31 | 22 | 1 | 8 | 75-38 | 67 |
| **საპოვნელა** | 30 | 20 | 5 | 5 | 85-30 | 65 |
| **გურია2** | 30 | 16 | 4 | 10 | 66-35 | 52 |
| **კოლხეთი2** | 31 | 12 | 9 | 10 | 43-34 | 45 |
| **სალხინო** | 31 | 14 | 2 | 15 | 51-54 | 44 |
| **ინტერი** | 30 | 12 | 5 | 13 | 43-46 | 41 |
| **სქური** | 30 | 10 | 8 | 12 | 39-50 | 38 |
| **საირმე** | 31 | 11 | 3 | 17 | 34-45 | 36 |
| **დინამო2 (ბთ)** | 31 | 11 | 3 | 17 | 31-53 | 36 |
| **ეგრისი** | 31 | 11 | 2 | 18 | 47-54 | 35 |
| **გზები** | 31 | 10 | 4 | 17 | 33-47 | 34 |
| **ჩიხურა** | 29 | 10 | 3 | 16 | 32-60 | 33 |
| **ლუკა** | 30 | 9 | 4 | 17 | 37-68 | 31 |
| **მეტალურგი2** | 30 | 8 | 5 | 17 | 35-53 | 29 |
| **ოკრიბა** | 31 | 8 | 2 | 21 | 34-69 | 26 |
| **სამეგრელო** | 30 | 5 | 4 | 21 | 33-75 | 19 |
| **დინამო (სოხ)** | 30 | 3 | 9 | 18 | 30-63 | 18 |

## ცსკა რუსეთის თასის მფლობელია

**რუსეთის თასს დაეუფლა მოსკოვის ცსკა, რომელმაც ფინალურ პაექრობაში 2-0 სძლია პეტერბურგის ზენიტს. პირველი გოლი გაიტანა ანდრეი სოლომატინმა, მეორე — იანოვსკიმ. მატჩი გაიმართა „ლუჟნიკების“ სტადიონზე და 60 ათასი მაყურებელი დაესწრო. აქედან 10 ათასამდე გულშემატკივარი სანკტ-პეტერბურგიდან ჩავიდა მოსკოვში, ფანატების ნაწილი 40 ავტობუსით ეწვია რუსეთის დედაქალაქს, მაგრამ ქალაქში არ შეუშვა პოლიციამ. მათ ჯერ ერთად მოუყარეს თავი საგანგებოდ გამოყოფილ „შესაკრებელში“, შემდეგ კი პოლიციამ თავად მიიყვანა სტადიონზე და სპეციალურად გამოყოფილ ტრიბუნაზე დასვა, რითაც თავიდან იქნა აცილებული მოსალოდნელი ექსცესები.**



## რომანცევმა ნაკრების შემადგენლობა დაასახელა



ოლეგ რომანცევი

რუსეთის ნაკრების შტაბმა გამოაქვეყნა იმ 27 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის წინ თერთმეტდღიან შეკრებაზე (15-25 მაისი) გამოიძახეს იაპონიაში გაფრენის წინ.

სიაში მოხვდნენ: ***მეკარეები*** — ნიგმატულინი („ვერონა“), ფილიმონოვი („ურალანი“), ჩერჩესოვი („ტიროლი“); ***დაცვა და შუა ხაზი*** — ონოპკო („ოვიედო“), ჩუგაინოვი („ურალანი“), ნიკიფოროვი (პსვ), დაევი, სემაკი და სოლომატინი (სამივე — ცსკა), კოვტუნი და ტიტოვი (ორივე — „სპარტაკი“), სმერტინი („ბორდო“), იზმაილოვი და სანიკოვი (ორივე — „ლოკომოტივი“), კარპინი და მოსტოვოი (ორივე — „სელტა“), ***თეთრაძე*** („ალანია“), ხოხლოვი („რეალ სოსიედადი“), ალენიჩევი („პორტუ“), ლაკტიონოვი („სამსუნგი“), არშავინი („ზენიტი“), სემშოვი („ტორპედო“); ***თავდამსხმელები*** — ბესჩასტნიხი და სიჩევი (ორივე — „სპარტაკი“), პანოვი („დინამო“), პიმენოვი („ლოკომოტივი“), კერჟაკოვი („ზენიტი“). 23 მაისს ნაკრები მიწვეულია ოპერეტის თეატრში მიუზიკლზე, ნაკრებს ეახლება რუსეთის მწერალ-იუმორისტთა ნაკრები არკადი არკანოვის ხელმძღვანელობით.

# მოგონებები პირველი სპარტაკიადიდან

1956 წელი ჩემს ბიოგრაფიაში ორგვარად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ჯერ ერთი, იმ წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მეორე – მოსკოვში ვესწრებოდი საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის პროგრამით გამართულ სპორტულ ასპარეზობებს.

სპარტაკიადაზე გამგზავრება ჩემთვის მოულოდნელი სიურპრიზი აღმოჩნდა. მოხდა ისე, რომ ივლისის ერთ მშვენიერ დღეს სტუმრად მოვხვდი ჩემს უახლოეს ნათესავთან კოტიკო ლომინაძესთან, წარსულში ცნობილ ფრენბურთელთან და საზოგადო მოღვაწესთან. საუბრისას მან მაცდუნებელი წინადადებით მომმართა: „თუ გსურს მოსკოვში სპატრაკიადაზე წასვლა, მე დაგეხმარებიო“. არც დავფიქრებულვარ, იმწამსვე თანხმობა განვაცხადე. კოტიკომ კი დილისთვის თავისთან დამიბარა. მეც მივედი და წავედით საქართველოს ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტში. ათიოდ წუთში ჩემს სახელზე შევსებული და მთელი წესებით გაფორმებული საგზური გადმომცეს.

იმ დროს მოსკოვამდე მგზავრობა მეტწილად მატარებლით ხდებოდა. ბილეთი ავიღე და საქართველოს სპორტულ დელეგაციასთან ერთად გასამგზავრებლად მზად ვიყავი. დელეგაციას ხელმძღვანელობდა იმჟამინდელი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მიტროფანე კუჭავა.

30 ივლისს საქართველოს სპორტულ დელეგაციასთან ერთად მოსკოვში ჩავედით. კურსკის ვაგზალზე გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს. ავტობუსებით საცხოვრებად სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენასთან ახლომდებარე სასტუმროებში ჩამოგვარიგეს, მოგვცეს კვების ტალონები და სპორტულ ღონისძიებებზე მისასვლელად გამოგვიყვეს სპეციალური ავტობუსები...

საფეხბურთო ტურნირში 18 გუნდი მონაწილეობდა – საბჭოთა კავშირის 16 რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები. ყველაზე უძლიერესად და შთამბეჭდავად გამოიყურებოდა მოსკოვის ნაკრები, რომელიც დაკომპლექტებული იყო ადგილობრივი „სპარტაკის“, „დინამოს“, „ტორპედოს“, და ცსკას საუკეთესო ფეხბურთელებით.

სატურნირო მატჩები ოლიმპიური წესით ტარდებოდა – წაგებული ეთხოვებოდა ტურნირს.

კენჭისყრით საქართველოს ნაკრებმა პირველი შეხვედრა 4 აგვისტოს მოლდავეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა. ჩვენმა ფეხბურთელებმა მატჩი აღმავლობით წარმართეს და დიდი ანგარიშით 4-0 მოიგეს. თუ საქართველოს ნაკრები თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, მოლდავეთის ნაკრებს მთლიანად კიშინიოვის „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელები წარმოადგენდნენ. მანამდე, 1956 წლის საკავშირო ჩემპიონატის პირველ წრეში მოწინააღმდეგეები კიშინიოვში შეხვდნენ ერთმანეთს და თამაში მასპინძლების გამარჯვებით 2-1 დამთავრდა. ცნობისათვის აქვე ვიტყვით, რომ 1956 წელს თბილისის „დინამო“ საკავშირო ჩემპიონატში ძალზე უფერულად გამოვიდა და საბოლოოდ მხოლოდ მერვე ადგილი დაიკავა.

ასევე 4 აგვისტოს, უკრაინის ნაკრებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ, დამატებით დროში, გაჭირვებით მოუგო ყაზახეთის ნაკრებს – 2-1. რუსეთის ფედერაციის ოლქების ნაკრებმა დაამარცხა უზბეკეთის ნაკრები 3-1, ხოლო ლენინგრადის ნაკრებმა თურქმენეთის ნაკრები – 2-0.

მოსკოვის ნაკრებმა პირველი შეხვედრა 6 აგვისტოს ჩაატარა და ლიტველ ფეხბურთელებს სძლია 2-0.

7, 8 და 9 აგვისტოს გაიმართა მეოთხედფინალური შეხვედრები.

7 აგვისტოს ლენინგრადელებმა დაამარცხეს რუსეთის ნაკრები 2-0.

ქართველმა ფეხბურთელებმა მეოთხედფინალური მატჩი 8 აგვისტოს გამართეს სომხეთის ნაკრებთან. ეს შეხვედრა თა...დანვე ძალზე დაძაბული და დრამ. ტიზმით აღსავსე აღმოჩნდა. მე-10 წუთზე სომხები ორი უპასუხო გოლით დაწინაურდნენ. ეს სენსაცია იყო და თუ ქართველი ფეხბურთელები თამაშში გარდატეხას ვერ შეიტანდნენ, ყველაფერი სამარცხვინოდ დამთავრდებოდა. სომეხთა რიგებში გამოდიოდნენ ყოფილი თბილისელები – მეკარე მათევოსიანი და თავდამსხმელი ბეგლარიანი. ჩვენი ფეხბურთელები უტევენ, მაგრამ მეკარე მათევოსიანი იგერიებს ძლიერ დარტყმებს და თან გამომწვევად იქცევა. ქართველი გულშემატკივრები არ ელოდნენ ასეთ დასაწყისს და ტრიბუნებზე გაისმოდა უცენზურო სიტყვებიც კი.

პირველი ტაიმის დამთავრებას 15 წუთი აკლდა, როდესაც სომხების კარისკენ გაიჭრა ჩვენი ყველაზე ახალგაზრდა თავდამსხმელი შოთა იამანიძე. ის ბურთიანად პირისპირ გავიდა მეკარე მათევოსიანთან, მაგრამ აღელდა, მოჭრით, უზუსტოდ დაარტყა და ბურთმა სომეხთა კარს ზემოდან დიდი მანძილით გადაუარა. იმწამსვე ნიაზ ძიაპშიპამ მწვრთნელებთან მიირბინა და მათგან შოთა იამანიძის გამოცვლა დაუყოვნებლივ მოითხოვა. უფროსმა მწვრთნელმა გაიოზ ჯეჯელავამ არ დააყოვნა და შეცვლაზე მე-12 ნომრით მწვანე მინდორზე გამოვიდა ანდრო ზაზროევი, რომელიც თბილისის „დინამოში“ სწორედ 1956 წლის სეზონის დასაწყისში დაბრუნდა კიევის „დინამოდან“, ხუთი წლის შემდეგ.

ზაზროევმა, შემოსვლისთანავე, მიიღო თუ არა ბურთი, უმალვე დაამუშავა, მაღლივი, გრძელი და ზუსტი გადაცემა გააკეთა წინ. ერთდროულად მარჯვენა შუამარბი კარლო გაგნიძე ელვისებურად გარბოდა სომეხთა კარისკენ და მოხდა ისე, რომ ანდროს ჩაწოდებული ბურთი და კარლო ერთად აღმოჩნდნენ მათევოსიანის უკან კარის ბადეში. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ანდრო ზაზროევის მიერ მიწოდებული ყოველი ბურთი სანტიმეტრამდე სიზუსტით იყო გათვლილი. ასე რომ, შეხვედრის პირველი ტაიმის დამთავრებამდე ანგარიში 2-1 გახდა სომხების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი ქართველ ფეხბურთელთა გრიგალისებური შეტევებით დაიწყო და საბოლოოდ თამაში საქართველოს ნაკრების გამარჯვებით, 4-2 დამთავრდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ავთანდილ ჭკუასელის მიერ გატანილი ბოლო, მეოთხე ბურთი. მან მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სტილში რამდენიმე სომეხი ფეხბურთელი მოატყუა და გვერდზე გადახრილმა ყუმბარისებური დარტყმით გაიტანა გოლი.

იმავე რვა აგვისტოს უკრაინელმა ფეხბურთელებმა დაამარცხეს აზერბაიჯანელები 4-1.

9 აგვისტოს მოსკოვის ნაკრებმა 5-1 მოუგო ბელორუსიის ნაკრებს. 7, 8 და 9 აგვისტოს ჩატარებულმა მეოთხედფინალურმა შეხვედრებმა გამოავლინა ნახევარფინალური თამაშების წყვილები: საქართველოს ნაკრები – უკრაინის ნაკრები და მოსკოვის ნაკრები – ლენინგრადის ნაკრები.

12 აგვისტოს, კვირას, გაიმართა პირველი ნახევარფინალური შეხვედრა საქართველოს და უკრაინის ნაკრებ გუნდებს შორის. ეს გახლდათ სპარტაკიადის ერთ-ერთი მთავარი და ცენტრალური მატჩი, როგორც დაძაბულობით, ისე მნიშვნელობით.

თამაში სწრაფ ტემპში, ორმხრივი იერიშებით დაიწყო. თუ უკრაინელები ძირითადად შეტევებით იყვნენ გართული, ქართველების მთავარ იარაღად კონტრშეტევები იქცა.

თამაში ორიოდე წუთის დაწყებული იყო, როდესაც ალიოშა კოტრიკაძემ გარღვევაზე გაიყვანა ზაურ კალოევი, რომელმაც კარგად გამოიყენა ეს შანსი და ანგარიში გახსნა.

უკრაინელებმა თამაში მოედნის ცენტრიდან დაიწყეს და თავბრუდამხვევი ტემპით შეუტიეს ვლადიმერ მარღანიას კარს. აი, ბურთთანაა უკრაინელთა ნახევარმცველი იური ვოინოვი, რომელმაც საჯარიმო მოედნის მისადგომიდან უძლიერესად დაარტყა ქართველების კარის მიმართულებით. ვოვა მარღანიამ დროზე ვერ მოჰკრა თვალი კარისკენ მიმავალ ბურთს, რადგან თავისივე მცველები ეფარებოდნენ და იძულებული გახდა ბურთი საკუთარი კარიდან გამოეტანა. ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, თამაში ძალზე გამწვავდა და უკრაინელები განუწყვეტლივ იერიშში ჩაერთნენ. ქართველმა ფეხბურთელებმა მორიგი კონტრშეტევა წამოიწყეს და შეხვედრის მეოცე წუთზე ზაურ კალოევმა კვლავ ბრწყინვალე დარტყმით დააგვირგვინა პარტნიორების ელვისებური კომბინაცია – 2-1. ასე დამთავრდა მატჩის პირველი ნახევარი ჩვენების სასარგებლოდ. შესვენების შემდეგ თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჩვენი მეკარე ვლადიმერ მარღანია, რომელმაც ძალზე ძნელი ბურთები აიღო.

უკრაინელთა შორის აქტიური თამაშით გამოირჩეოდნენ კიევის „დინამოს“ გამერმარბები მიხეილ ფომინი და იური გრამატიკოპულო, რომელიც 1949-1950 წ.წ. თბილისის „დინამოს“ ღირსებას იცავდა.

თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, უკრაინელი ფეხბურთელები შეტევაზე არიან და ერთ-ერთ ეპიზოდში შეეძლოთ გოლის გატანა, მაგრამ ვოვა მარღანიამ თავგანწირული ნახტომით მოიგერია მ. ფომინის დარტყმული „მკვდარი ბურთი“. ვ. მარღანიამ ამ ნახტომისას მძიმე ტრავმა მიიღო, ჯერ არავინ იცოდა, როგორ დამთავრდებოდა ეს ერთობ დაძაბული შეხვედრა და იმ დროს, როდესაც მსაჯი წამზომს დასცქეროდა, უეცრად ღრმა ზურგიდან ალიოშა კოტრიკაძის შესანიშნავი გადაცემით ბურთი მიიღო ავთანდილ ჭკუასელმა, სწრაფად გაიჭრა უკრაინელთა კარისაკენ და მისთვის ჩვეული უძლიერესი დარტყმით ბურთი გაახვია კარის ბადეში – 3-1 და... ფინალი. მეორე ფინალისტი გახდა მოსკოვის ნაკრები, რომელმაც ნახევარფინალში ლენინგრადის ნაკრებს აჯობა – 3-2.

და აი, დადგა 16 აგვისტო, ფინალური შეხვედრისა და სპარტაკიადის დახურვის დღე. „ლუჟნიკის“ სტადიონზე, რომ იტყვიან, ნემსის ჩასაგდები ადგილი აღარ იყო.

ზუსტად 18.00 საათზე გაისმა ლენინგრადელი მსაჯის პ. ბელოვის სასტვენის ხმა, მოწინააღმდეგე გუნდებს საასპარეზოდ უხმეს მწვანე მინდორზე.

მოსკოვის ნაკრების შემადგენლობა: ბ. რაზინსკი, ნ. ტიშჩენკო, ა. ბაშაშკინი, მ. ოგონკოვი, ა. პარამონოვი, ა. მასლიონკინი, ბ. ტატუშინი, ვ. ივანოვი, ე. სტრელცოვი, ს. სალნიკოვი, და ი. მოზერი.

საქართველოს ნაკრები: მ. პირაევი, ა. კოტრიკაძე, ნ. ძიაპშიპა, გ. ხოჭოლავა, შ. იამანიძე, ა. ღოღობერიძე, ბ. ხასაია, კ. გაგნიძე, ზ. კალოევი, ა. ზაზროევი და ა. ჭკუასელი.

ტრავმების გამო ჩვენს ნაკრებში არ გამოდიოდნენ ვ. მარღანია და ვ. ელოშვილი. ვ. ელოშვილის ნაცვლად კი მარჯვენა მცველის ადგილი დაიკავა ნახევარმცველმა ა. კოტრიკაძემ, ხოლო მის ადგილას გამოიყვანეს შ. იამანიძე.

დასაწყისიდანვე თამაში მაღალ ტემპში, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორივე გუნდის ნახევარმცველები ძირითადად მოედნის ცენტრში მოქმედებდნენ და ცდილობდნენ ხელში აეღოთ თამაშის სადავეები.

მოსკოველებმა იერიშების წარმართვა მარჯვენა ფლანგიდან სცადეს, სადაც გამოირჩეოდნენ ბ. ტატუშინი და ვ. ივანოვი, მაგრამ ძიაპშიპას მეთაურობით ფრთხილად და ყურადღებით თამაშობდნენ ჩვენი მცველები.

მდგომარეობა მოედანზე ჯერ გათანაბრდა, შემდეგ ჩვენმა ფეხბურთელებმა დაიწყეს იერიშები მოსკოველთა კარის მიმართულებით. მე-12 წუთიდან თბილისელებმა ინიციატივა ხელში აიღეს, მწვავედ და სახიფათოდ უტევდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ავთანდილ ჭკუასელი და ბორის ხასაია. თბილისელთა აქტიური თამაში 25-ე წუთამდე მიმდინარეობდა. სწორედ ამ დროს მაღალი ბურთისათვის ბრძოლაში სერიოზული ტრავმა მიიღო მოსკოველთა მარჯვენა გარემარბმა ბორის ტატუშინმა. ის მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. მის მაგივრად კი ანატოლი ილინი ჩაერთო თამაშში. ა. ილინის შემოსვლით მოსკოველებმა შეძლეს თავიანთი თამაშის გააქტიურება. მათ რამდენიმე წუთში, ზედიზედ სამჯერ დაარტყეს ბურთი საქართველოს ნაკრების კარის მიმართულებით, მაგრამ ჩვენი გუნდის კაპიტნის, ა. ღოღობერიძის და ცენტრალური მცველის ძიაპშიპას თავგანწირული და ზუსტი თამაშით კარი აუღებელი დარჩა. ასე იყო თამაშის 35-ე წუთამდე, როდესაც პირველი ბურთი მაინც მოსკოველებმა გაგვიტანეს, – კუთხურიდან ჩამოწოდებული ბურთი სერგეი სალნიკოვმა მისთვის ჩვეული და „საფირმო“ თავური დარტყმით მიხეილ პირაევის კარში გაგზავნა. გოლს თბილისელთა რიგებში დაბნეულობა არ შეუტანია, პირიქით, მათი შეტევები უფრო მწვავე და მძაფრი გახდა, თავდამსხმელთა სწრაფმა და კომბინაციურმა თამაშმა კულმინაციას მიაღწია, მოსკოველთა კართან საგოლე მომენტებმა იმატა და მოხდა ის, რაც ყველაზე მეტად დასამახსოვრებელია და დეტალური აღწერის ღირსია. მოედნის ცენტრში ბურთი აქვს ანდრო ზაზროევს, სწრაფად გადასცა ავთანდილ ჭკუასელს, რომელიც გაიჭირა მოსკოველთა საჯარიმო მოედნისკენ, სადაც თავისი შესანიშნავი დრიბლინგით და ცრუ მოძრაობით ჯერ მოატყუა მოსკოველთა მარჯვენა მცველი ტიშჩენკო, შემდეგ „დააწვინა“ ცენტრალური მცველი ბაშაშკინი, მასვე მიაყოლა მარცხენა მცველი ოგონკოვი. მოედნის ცენტრიდან ქარივით მოფრინავდა ხასაია. კარებიდან გამორბის მოსკოველთა მეკარე ბორის რაზინსკი, ყველაფერ ამას ხედავს ჭკუასელი. კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს ხასაიამ უძლიერესი დარტყმით მოსკოველთა კარის ბადეში მიუჩინა ადგილი. მთავრობის ლოჟისკენ გავიხედე. ვხედავ, ნიკიტა ხრუშჩოვი ფეხზეა წამომდგარი და შეკუმშული მუშტებით რაღაცას გაიძახოდა.



თბილისის „დინამო“, 1956 წ. მარცხნიდან: ა. ღოღობერიძე, მ. პირაევი, ნ. ძიაპშიპა, ზ. კალოევი, ა. ზაზროევი, გ. ხოჭოლავა, ა. ჭკუასელი, ვ. ელოშვილი, რ. მახარაძე, ა, კოტრიკაძე, კ. გაგნიძე.

პირველი ტაიმი 1-1 დამთავრდა. შესვენების შემდეგ უკვე საგრძნობლად წვიმდა და ტექნიკურ თამაშს ცოტა სილამაზე და ეშხი დაეკარგა, მაგრამ ბურთისთვის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. ორივე გუნდის კარებთან მრავალი საგოლე მომენტი შეიქმნა, გადამწყვეტი გოლი კი არ ჩანდა. სიტუაცია ისეთი იყო, რომ ყველა ელოდა დამატებითი დროის დანიშვნას.

მიმდინარეობდა 75-ე წუთი, როდესაც ჩვენი ნაკრების საჯარიმო მოედანზე ბურთიანად აღმოჩნდა ედუარდ სტრელცოვი. იგი აშკარა „თამაშგარე მდგომარეობაშია“, მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმს. თვით ედუარდ სტრელცოვმა ივაჟკაცა, ინამუსა და „ოფსაიდიდან“ გამოვიდა, შემდეგ კი ძლიერად დაარტყა მიხეილ პირაევის კარში. პირაევი გადახტა, მაგრამ სველი ბურთი მუცლისქვეშ გაუძვრა და ზედ კარის ხაზის ახლოს გაჩერდა. ქართველი გულშემატკივრები ვყვიროდით, – „მიშა, გადაბრუნდი და ბურთი აიღე“! ის კი (ალბათ, ეგონა ბურთი ბადეშიაო) გაუნძრევლად წევს და გაოგნებულს არაფერი ესმის. ანატოლი ილინმა არ დააყოვნა, მწოლიარე პირაევს ზემოდან გადაევლო და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. ამ დროს, უნებლიედ, თვალი ისევ ლოჟისკენ გამირბის და რას ვხედავ? საშინლად აგზნებულ ნიკიტა ხრუშჩოვს ხელები მაღლა აუწევია და სიხარულით ლამის ლოჟიდან გადმოხტეს.

ქართველი ფეხბურთელები მთელი ძალებით უტევენ მოსკოველთა კარს. რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია მეკარე ბ. რაზინსკიმ, განსაკუთრებით კი დაგვამახსოვრდა ავთანდილ ღოღობერიძის მიერ უძლიერესად დარტყმული „მკვდარი ბურთი“, რომელიც სასწაულებრივად უკუაგდო მოსკოველთა მეკარემ. დარჩენილ დროში ჩვენი ფეხბურთელების ყოველგვარი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. საბოლოოდ, ეს ფინალური შეხვედრა მოსკოველთა გამარჯვებით – 2-1 დამთავრდა. ქართველ ფეხბურთელებს ისღა დარჩენოდათ, რომ სპარტაკიადის ვერცხლის მედლებით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ბურამ ჩხიკვაძე

*(გაგრძელება იქნება)*

# ნბა




## „ნიუ-ჯერსი" კი სტუმრად იგებს

ლიგის შარშანდელი ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელს და გადაცემების გამორჩეულ ოსტატს ჯეისონ კიდს, კერი კიტლზის და ვან ხორნის დახმარებით შთამბეჭდავი წარმატება მოაქვს თავისი კლუბისთვის „შარლოტთან" სტუმრად გამართულ მატჩში. ***„შარლოტი" — „ნიუ-ჯერსი" 79:89 (24:25, 20:14, 20:25, 15:25).***

*„შარლოტი":* დევისი (20+5 მოხსნა), ლინჩი (19+6), უესლი (15+5 გადაცემა). *„ნიუ-ჯერსი":* კიდი (24+11+8), კიტლზი (20+4+4), ვან ხორნი (16+11). სერიაში ანგარიშია 2:1.

***„სან-ანტონიო" — „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" 85:87 (25:25, 21:17, 29:25, 10:20).***

*„სან ანტონიო":* დანკანი (30+11), პარკერი (15), რობინსონი (12+11) *„ლეიკერსი":* ბრაიანტი (28) ო'ნილი (22+11), ორსი (13).

## „ბოსტონი" დაწინაურდა

***პლეი-ოფი. „ბოსტონი" — „დეტროიტი" 90:79 (21:17, 20:22, 25:19, 24:21).***

*„ბოსტონი":* უოკერი (30+2 მოხსნა+4 გადაცემა), პირსი (25+7+6), დელკი (16+5).

*„დეტროიტი":* რობინსონი (24), სტეკჰაუსი (16+2+3), უილიამსონი (12+7) ანგარიში სერიაში 3:1 „ბოსტონის" სასარგებლოდ.

## ფიბას რეფორმა ევროკლუბებს შეეხო

ბერძენი გიორგოს ვასილაკოპულოსი მომავალი 4 წლით არჩეულია ევროპის კალათბურთის კონფედერაციის პრეზიდენტად. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) გენერალურმა ასამბლეამ. ვასილაკოპულოსს უკვე ეჭირა ეს პოსტი, როცა შარშან ივლისში ფიბას რიგგარეშე ასამბლეამ 60 წლის ბერძენი თავისი ქვეყნის კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტიცაა. არის სოკ-ის წევრი და ბიზნესსაც ეწევა — ქაღალდის მეპატრონეა და საქმე ალმაცლობით მიუდის.

ასამბლეამ მოიწონა ევროკლუბების გათამაშების ახალი სისტემა ახალი სეზონისათვის. კორაჩისა და საპორტას თასის თასების ნაცვლად დაწესდება ერთი პრიზი — ფიბას თასი. პროექტი ასე გამოიყურება: პირველ ეტაპზე შეჯიბრებები ჩატარდება სამ კონფერენციაში — დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი 24-24 კლუბის მონაწილეობით. გარდა ამისა, ჩატარდება შეჯიბრებები რეგიონლიგაში 4 ჯგუფად (6-6 გუნდი), ორ წრედ. ყოველ ქვეყანას პირველ ეტაპზე უფლება აქვს წარადგინოს მაქსიმუმ 4-4 გუნდი. თუ ეროვნული ფედერაციები არ ისარგებლებენ თავიანთი კვოტით, ფიბას შესაბამისი კომისია თავად შეავსებს ვაკანსიას. ფინალურ ეტაპზე გავა 16 გუნდი, რომლებიც იასპარეზებენ 4 ჯგუფად. 2-2 საუკეთესო გავა პლეი-ოფში. ფიბას უძლიერესი 2 გუნდი, როგორც ვარაუდობენ, ევროლიგაში მიიღებს ადგილს.

## ფორმულა I

## ბრაზილიის პრეზიდენტი იცავს ბარიკელოს

ბრაზილიის პრეზიდენტმა ფერნანდო კარდოსომ განაცხადა, რომ მისი თანამემამულე რუბენს ბარიკელო არის „ავსტრიის გრან-პრის" ნამდვილი გამარჯვებული. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელმა მრბოლმა, რომელიც ლიდერობდა მწვრთნელების მითითებით, პირველობა დაუთმო თანაგუნდელ მიხაელ შუმახერს, მას შემდეგ, რაც „ფერარის" გუნდის ხელმძღვანელობამ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, ბრაზილიაში პროტესტის ტალღა აგორდა. „დღეს მთელი ბრაზილია ერთიანია იმაში, რომ ჭეშმარიტი გამარჯვებული არის ბრიკელო და არა შუმახერი" — განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა და ამით შეეცადა დაეშოშმინებინა ქვეყნის მოსახლეობა.

## «დედის დღე» აღნიშნეს

**ავსტრიის გრან-პრის" გათამაშების მონაწილე ფორმულა-1-ის მრბოლებმა „დედის დღე" „A1 რინგის" ტრასაზე აღნიშნეს შპილბერგში. როგორც იტყობინებიან, ავსტრიის „გრან-პრის" ორგანიზატორებმა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე ყველა 22 მრბოლის დედას სთხოვეს ტრასას შვილებთან ერთად სწვეოდნენ. ასეც მოხდა. ოღონდ, 11 ქალბატონი გამოეხმაურა მოწოდებას. მათ შორის იყვნენ: ირვინის, მონტოიას, ფრენტცენის, სალოს, ვილნევის, ხაიდფელდის და სხვათა დედები.**

## მოსკოვი სამი „კ"-ს მოლოდინშია

ფიდეს ეგიდით „გრან-პრის" მეორე ეტაპი, რომელიც უნდა გამართულიყო მოსკოვში მაისის მეორე ნახევარში, გადატანილია ივნისისთვის, რათა „ამოსუნთქვის" საშუალება მისცენ დიდოსტატებს, რომლებიც მოქანცა ახლახან დამთავრებულმა პრაღის ტურნირმა. მსოფლიო საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების წყალობით, მოსკოვში თავს მოიყრის სამყაროს საჭადრაკო ელიტა, რომელთა შორის იქნებიან კარპოვი, კასპაროვი და კრამნიკი.

## უკვე მეშვიდე ეტაპი

**მრავალდღიანი ველორბოლა „ტურ სლოვენიი". მე-7 ეტაპი. 178 კმ.**

1. პოცატო (იტალია) – 4:06,53
2. გენოლიმუნი (იტალია)
3. მერვარი (სლოვენია)
4. სტარე (სლოვენია)
5. პენეი (შვეიცარია).

**საერთო ჩათვლა**

1. პეტროვი (რუსეთი) 24:21.21
2. პოდგორნიკი (სლოვენია) — ჩამორჩენა — 0.34
3. ჰემპელი (ავსტრია) — 1.01
4. დემარინი (ხორვატია) — 1.02
5. გოლცერი (სლოვენია) — 1.12.

## ივანიშევიჩი ტურნირებს გამოტოვებს

უიმბლდონის შარშანდელი გამარჯვებული გორან ივანიშევიჩი ამ წლის ტურნირებს გამოტოვებს მხრის ოპერაციის გამო. ეს ხორვატიელი ჩოგბურთელი, ცხადია, ვერც „დიდი შლემის" ასპარეზობაში ჩაერთვება, თუმცა იმედს არ კარგავს, რომ გაისად კვლავ დაუბრუნდება კორტებს და გაიმეორებს 2001 წლის წარმატებას.



ივანიშევიჩი (სურათზე) ახლა 30 წლისაა. რეიტინგში მას მე-16 საფეხური უკავია. „მივხვდი, რომ მხარი ცუდ მდგომარეობაში მაქვს და უაზრობაა ოპერაციის გადადება" — ამბობს ჩოგბურთელი.

სპეციალისტების აზრით, ჯანმრთელობის, სპორტული ფორმის აღსადგენად და პროფესიულ ჩოგბურთში დასაბრუნებლად მინიმუმ ხუთი თვე დასჭირდება.

## პროფესიული კრივი

## ტრინიდადი მზადაა ტიტულის დასაცავად

პუერტორიკოელმა საშუალო წონის ფელიქს ტრინიდადმა ბოლოსწინა ნაბიჯი გადადგა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის დაბრუნებისთვის მზადების გზაზე. ახლა მან თავის ქვეყანაშივე, ქალაქ სან-ხუანეში მეოთხე რაუნდში დასცა რინგის იატაკზე ფრანგი ხასინ ჩერიფი. ეს იყო ფელიქსის მე-40 გამარჯვება, სულ კი ჩატარებული აქვს 41 ბრძოლა და აქედან 34 დაამთავრა მეტოქის ნოკაუტით.


ტრინიდადი

ჯერ კიდევ შვიდი თვის წინათ ტრინიდადი უძლეველად ითვლებოდა და ფლობდა ჩემპიონის ქამარს ვბც და იბფ-ის ვერსიით. მაგრამ 29 სექტემბერს, ნიუ-იორკში თავისი ტიტული დათმო ბერნარდ ჰოპკინსთან. ახლა მეტოქეები მატჩ-რევანშის მოლოდინში არიან. ეს შეხვედრა წლის ბოლომდე უნდა გაიმართოს.

## ჩიპოლინი „ჯიროს" პირველი ეტაპის გამარჯვებული

იტალიელმა მარიო ჩიპოლინიმ წარმატებით აიღო „ჯირო დ, იტალიის" მრავალდღიანი ველორბოლის სტარტი. პირველ ეტაპზე 215 კმ-იანი დისტანციის ბოლო კილომეტრზე ლიდერთა სამეულმა მხარდამხარ იარა ფინიშამდე. პირველობა წილად ხვდა ჩიპოლინის – 5 საათი, 37 წუთი და 14 წამი. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ავსტრალიელები გრიმ ბრაუნი და რობი მაკივენი (სამივე დრო თანაბარია). საერთო გუნდურ პირველობაში პროლოგის ჩათვლით დაწინაურდა ჩიპოლინი, შემდეგ მოდიან ბაკოხოფერი (ავსტრია) – ჩამორჩენა 0.11 წ. ხოი (დანია) – 0.12, მაკივენი – 0.13, ბეტინი და შტარცერი (ორივე – იტალია) – ორივეს ერთნაირი დრო – 0.20.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

სპორტი ცისფერ ეკრანზე 14 – 16 მაისი

**14 მაისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (22.10), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (20.00), ***მე-9 არხი.*** „მსოფლიო ფეხბურთი" (14.45), ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის ჩემპიონატის შედეგები (17.30), ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (18.30, 1.10), ინგლისის (21.35), ესპანეთის (22.30) ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ბილიარდის მეფეები (15.40), წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (23.10), დიდი რინგი (0.05), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: სამხრეთამერიკული ფეხბურთის პროგრამა (12.00), მსოფლიო ჩემპიონატის ლეგენდები (13.00), ევროგოლები (13.15), 21 წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი. B ჯგუფი: იტალია – გერმანია (15.00), A ჯგუფი: ინგლისი – ბრაზილია (21.00, 3.15), მსოფლიო ჩემპიონატი 2002-ის გზით. ამხანაგური მატჩების მიმოხილვა (2.15)

**15 მაისი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.35), ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი: „ბაიერი" – „რეალი" (23.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 22.30), ***მე-9 არხი.*** ფეხბურთი. ევროპის სტადიონებზე (20.00), ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასის მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩი (13.15, 21.20), ესპანეთის (16.40), ინგლისის (18.05) ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი (23.20), ***НТВ плюс спорт.*** წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.15), დაიდო-ჯუკუ. კარატე-დო. მოსკოვის თასის ღია ასპარეზობა (22.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: 21-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი. A ჯგუფი: ინგლისი – ბრაზილია (13.30), 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გზით. ამხანაგური მატჩები (15.00), 21 წამდელთა საერთაშორისო ტურნირი. B ჯგუფი: იაპონია – იტალია (20.30), გერმანია – ირლანდია (21.30).

**16 მაისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საკალათბურთო მიმოხილვა (17.25), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (15.30), ***НТВ.*** ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატების ყველა ვარსკვლავი (2.20), ***НТВ плюс футбол.*** ლიბერტადორესის თასი (13.15, 19.30), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (15.10), ჩემპიონთა ლიგა. ფინალი (16.10), ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.05), „მუნდიალი" (21.10), ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის: საფრანგეთის ნაკრები – ჩეხეთის ნაკრები (21.55), საბერძნეთის ნაკრები – ბელგიის ნაკრები (0.05), ***НТВ плюс спорт.*** დაიდო-ჯუკუ. კარატე-დო. მსოფლიო თასის ღია ასპარეზობა (12.45), ბილიარდის მეფეები (14.20), ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი. პირადი პირველობა (23.45). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: 21-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი. B ჯგუფი: გერმანია – ირლანდია (14.30), საუკუნის მატჩი: პელესადმი მიძღვნილი პროგრამა (20.30), „ჟილეტი" – ოცნების გუნდი (21.15), ძიუდო. ევროპის ჩემპიონატი (21.45), მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები (1.30, 3.30), უეფა. ევროპის ჩემპიონატი. 21 წლიანები (2.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (3.00).

## ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი. საუკუნის ათეულები.

*ქალები:*

1(1) ვანუს უილიამსი (აშშ) – 4591 ქ.
2(2) ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) – 4449
3(3) კიმ კლეისტერსი (ბელგ) – 3699
4(5) სერენა უილიამსი (აშშ) – 3609
5(6) მონიკა სელეში (აშშ) – 3360
6(7) ლინდსეი დევენპორტი (აშშ) – 3350
7(4) მარტინა ჰინგისი (შვეიც) – 3338
8(8) ჟიუსტენ ენენი (ბელგ) – 3335
9(9) ელენა დოკიჩი (სერბ/ჩერნ) – 3074
10 (11) სანდრინ ტესტიუ (საფრ) – 1181.

*ვაჟები*

1(1) ტომას იუჰანსონი (შვეიც) – 279 ქ.
2(8) ანდრე აგასი (აშშ) – 275
3(2) ტიმ ჰენმენი (დ/ბრიტ) – 243
4(3) მარატ საფინი (რუს) – 230
5(12) ტომას ჰაასი (გერმ) – 228
6(6) ირჟი ნოვაკი (ჩეხ) – 224
7(4) ლეიტონ ჰიუტი (ავსტრალ) – 216
8(9) ენდი როდიკი (აშშ) – 207
9(5) როჯერ ფედერერი (შვეიც) – 199
10(6) იუნეს ელ-აინაუმი (მაროკო) – 195.

## საჭადრაკო ამოცანა

ჩ. ვლადიმიროვსკი (დაუგავპილსი), 1978 წ.



შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ეe3! 1. ...მფd4 2. ლ:a7X.
1. ...d4 2. ეe5X.

## კროსვორდი № 36



**თარაზულად:** 1. ფეხბურთში ნახევარმცველი ანუ... 6. ლატვიის საფეხბურთო კლუბი, 7. ავსტრიის საფეხბურთო კლუბი, 9. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 11. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში, 12. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 13. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი, 14. დროის ნაკლებობა ჭადრაკში, 17. სპორტნაწარმის ამერიკული ფირმა, 18. ერთგვარი პროგრამა კარატეში, 19. წარსულში ცნობილი ქართველი მძლეოსანი — სპრინტერი.

**შვეულად:** 2. სპორტული ცენტრი — კურორტი თურქეთში, 3. სტუდენტთა სპორტსაზოგადოება, 4. ცნობილი ვეტერანი დინამოელი კალათბურთელი, 5. თბილისის „დინამოს" ერთ-ერთი რუსი მწვრთნელი, 8. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 10. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების თავდამსხმელი, 12. ცნობილი ხორვატი ფეხბურთელი, 14. სპორტის ზამთრის სახეობის ინვენტარი, 15. ცნობილი ავსტრალიელი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი. 16. გამარჯვების ქალღმერთი.

### კროსვორდი №35. პასუხები

**თარაზულად:** 2. ორტეგა, 5. უშუ, 7. რეი, 9. ამორძალი, 10. პაიკი, 11. საკი, 14. ლი, 15. ბალაკინი, 16. „ვილა", 18. კატერი, 19. „იფსვიჩი", 20. ტიგანა. **შვეულად:** 1. კეტაშვილი, 3. რალი, 4. გომელსკი, 6. შხარა, 8. ფრე, 12. კამერუნი, 13. ანტალია, 15. ბელოვი, 17. „ბაია".

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti_lelo@hotmail.com